

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბადრი ქარჩავას ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ვარ საკრებულოს წევრი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს საანგარიშო პერიოდში ვიყავი და ვარ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დავესწარი საკრებულოს მორიგ 9 სხდომას, რომლებიც შესაბამისად ოქმების სახით ფიქსირდება. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების შესაბამისად, ვმართავდი რეგლამენტით გათვალისწინებულ გეგმიურ და ხშირ შემთხვევაში დაუგეგმავ შეხვედრებს მოსახლეობასთან, შეხვედრის მიზანი იყო იმ პრობლემების გაცნობა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს სოფლის მოსახლეობას. აღსაღნიშნავია, რომ შეხვედრების დროს ძირითადად სოციალური პრობლემები გამოიკვეთა, ნარჩენების შემკვრები კონტეინერების დამატება, სპორტული მოედნის მოწყობა, სოფლის შიდა გზების მოწესრიგება. შესაძლებლობის ფარგლებში, დროის მცირე მონაკვეთში ვახერხებდი შესაბამისი სამსახურების ჩართვას და კანონის ფარგლებში ვაგვარებდი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილულ ბიუჯეტით გათვალისწინებულ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია შეჭირვებული მოსახლეობისათვის სოციალური თანადგომის, ჯანმრთელობის მოგვარებისა და დახმარების პროგრამა. ჩვენი ხელისუფლებისათვის განათლება ერთ-ერთი პრიორიტეტია, გამომდინარე აქედან მნიშვნელოვნად მიმაჩნია 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდა. მიმაჩნია რომ ჩემს მიერ გაწეული ჩამოთვლილი საქმიანობები არ არის საკმარისი, ვიმედოვნებ მომავალი საანგარიშო პერიოდის ანგარიში, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით უფრო ვრცელი იქნება.

საკრებულოს წევრი ბადრი ქარჩავა

29.10.2029